



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ბრძანება

№ 978

2016 წლის 6 სექტემბერი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აგვისტოს N805 ბრძანებაში ცვლილების განხორციელების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

**მუხლი 1.** შევიდეს ცვლილება, „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის შესახებ“ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 1 აგვისტოს N805 ბრძანების მე-2 მუხლით განსაზღვრულ კომისიის შემადგენლობაში, კერძოდ კომისიის მდივანის ლელა კურტანიძის კუთვნილ შვებულებაში გასვლის გამო, კომისიაში შევიდეს კომისიის მდივანის ფუნქციით „ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების“ უფროსი სპეციალისტი - მარი ჩიტაძე;

**მუხლი 2.** ბრძანების ყველა სხვა მუხლი დარჩეს უცვლელი;

**მუხლი 3.** ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული ცვლილება ძალაშია 2016 წლის 1 ოქტომბრამდე;

**მუხლი 4.** კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს „თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის“ თავმჯდომარეს იოსებ ტყემალაძეს;

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე;

**მუხლი 6.** ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

გამგებელი  კარლო ჯამბურია

